

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 11 ივნისი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილი

- წერილში თავმჯდომარე ითხოვს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინებული მოსამართლის მ. კაპანაძისთვის მივლინების ვადის გაგრძელებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

2. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის წარდგენის შესახებ

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

3. კანონპროექტი – „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

-პროექტი ეხება მოწმისა და გამოსაკითხი პირის იურიდიული დახმარების უფლებით უზრუნველყოფას, ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესზე მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა დასწრების შესაძლებლობას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან გზირიშვილი

4. გადაწყვეტილების პროექტი - „საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების შესახებ შესაბამისი მასალების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს სასამართლოს თავმჯდომარეების ვალდებულებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია გაჭიანურებული საქმეების შესახებ.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ანა დოლიძე

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გ. დიდავას წერილი

- მოსამართლე წერილით ითხოვს, გარკვეული გარემოებების დაზუსტებამდე დროებით შეჩერდეს მის 31 მაისის განცხადებაზე მსჯელობა.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

6. კანონპროექტები - „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შესახებ“

- პროექტები ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ნორმების დახვეწასა და სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე